პარასკევი, 1918 წ. მკათათვის 26 № 148

წელიწადი მეოთხე

პარასკევი 1918 წ. მკათათვის 26 № 148

ფასი თბილისში და პროვინციაში 40 კაპ. რკ. გზის სადგურებზე 50 კაპ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველო

რედაქცია

ხელნაწერთა მასალა უნდა იყოს დაწერილი გარკვეულად და ერთ გვერდზე. წერილში უნდა აღნიშნული იყოს ავტორის გვარი და მისამართი. უსათაურო გამოგზავნილი მასალა უყურადღებოდ დარჩება. დაუბეჭდავი ხელნაწერთა მასალა არ ინახება და რედაქცია არავითარ მიწერ-მოწერას მის შესახებ არ კისრულობს.

რედაქტორი ღებულობს დილის 9—3 საათამდის, გარდა უქმე დღისა. ხელისმომწერთა საჩივრების გამო პირადად მოლაპარაკება შეიძლება ამავე დროს.

მისამართი: თბილისი, სასახლის ქუჩა, № 5 ქართველი ქალებისა. ტელეგრაფის ადრესი:
Тифлисъ, почт. ящикъ № 76. ტელეგრაფის ადრესი: Тифлисъ. Сакартвело.

კონტორა

„საქართველოზე" ხელის მოწერა მიიღება [illegible] თვით და [illegible] — 18 მ. თვეში ([illegible]) 6 მ. და 50 კ. ცალკე № 40 კ. განცხადების ფასი [illegible] პირველ გვერდზე 50 კაპ. უკანასკნელზე — 30 კაპ. [illegible] [illegible] ზომით: 20×2=15 მანეთი, 30×2=20 მანეთი. [illegible] 1 მან. [illegible] 1 მ. და 50 კ. [illegible] კონტორის სახელზე. საჩქარო განცხადებანი უნდა მოტანილ იქნას არა უგვიანეს 1½ საათისა კონტორაში. კონტორა ღიაა დილის 9 საათიდან 8 საათამდე.

ტელეფონი რედაქციისა და კონტორისა 15—73

გულ დათუთქული ნუგეშ დაკარგული ქმარი იაკინთე ალექსის ძე მურუსიძე აუწყებს ნათესავთ და ნაცნობთ, რომ ივლისის 23 გარდაიცვალა საყვარელი და დაუვიწყარი ცოლი

ნადეჟდა ლაზარეს ასული მურუსიძე

პანაშვიდი ყოველ დღე საღამოს 7 საათზე მღვდლის შესახვევი, № 5. დაკრძალვა კვირას ივლისის 28 შუადღის 12 საათზე კუკიის წმ. ნინოს სასაფლაოზე. 1—1719—1

შაბათს, 3 აგვისტოს ახალი სტ. (21 ივლისს ძველი სტილით) დილის 9 საათზე ს. ამაღლების (ქუთაისის მაზრა) მაცხოვრის ეკლესიაში გადახდილი იქნება წლის წირვა და პანაშვიდი

სერგო ვასილის ძის ლომინაძის

სულის მოსახსენებლად, რასაც გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ მშობლები, ვასილი და ოლღა ლომინაძეები, დები ანასტასია ბერიძისა და მარიამ ლომინაძე და სიძე კალისტრატე ბერიძე. 1—1

არტისტიულ საზ. საზამთრო თეატრი

პარასკევს 26 ივლისს

ცენტრალური კომიტეტი ქართვ. სამხედრო კავშირისა
მართავს საგანგებოდ მოწვეულ

I

ხევსურთა ფარიკაობას
(კეჭნაობას)

II

ეროვნულ კონცერტს

ნ. პ. ხულხანიშვილის ლოტბარობით და ივ. პ. სარაჯიშვილის მონაწილეობით. ხევსურნი 50 ვაჟკაცამდე ძველ ჩაჩქანში ჩაჭედილნი იფარიკავებენ ჯგუფ-ჯგუფად და ცალკ-ცალკე. ბილეთები დღეიდანვე იყიდება 12 საათ. 2 ს. და საღამოს 6—8 საათამდის.

ლატარია

აგარაკ ქვიშხეთში საუკეთესო კარმიდამოს ჩამონაჭერი 300 ოთხ-კუთხი საჟენი მიწა, აღნიშნული ცალკე პლანზე და დეკრეტის მხრივ უთვლად უდავო. მოგებას შეუძლიან რა დროსაც სურს დაიმტკიცოს.

ლატარიის ბილეთები ათას ორმოცდა ათი (1050) ცალია. ბილეთი ღირს 20 მანეთი. ბილეთების წიგნაკები კერძო პირებს აქვს დარიგებული გასასყიდათ. უკვე გასაყიდულის წიგნაკების ფული უნდა ჩააბარონ ლატარიის ფულის ხაზინადარს გიორგი ლუარსაბის ძე მაჭავარიანს (ნოტარიუსი, ერივნის მოედანი სასტუმრო „კავკაზის" ეზოში). როდესაც სულ გაიყიდება ბილეთები, გამოცხადდება დღე ლატარიისა, რომელსაც დაესწრობიან ბილეთების მყიდველნი. იმ დღეს ლატარიას მოაწყობენ ამისთვის საგანგებოთ მოწვეულნი პირნი: ბ.ბ. დავით გურამიშვილი, პართენ გოთუა და კოტე მაყაშვილი.

საქართველოს ეროვნულ- დემოკრატიულ პარტიის
ქ. თბილისის კომიტეტი.

ქართველ ვაჭართა და მრეწველთა კავშირის საბჭოსაგან

მოკლე ხანში საზღვარგარეთ მიემგზავრებიან მრეწველობის და ვაჭრობის მცოდნე პირნი. საბჭო ამით აცხადებს რომ ვისაც სურს რაიმე დავალება სხვა და სხვა ქარხნების მოსაწყობად, საქონლის ცნობების შეკრება ან სხვა და სხვა საქონლის ყიდვის შესახებ, ვსთხოვთ მობრძანდნენ საბჭოს ბინაზე ყოველ დღე 11—12 საათამდე (ახალი დროით) და განუცხადონ თავიანთი სურვილი. მისამართი: ქ. თბილისი, ფრეილინის ქ. 11, ტელეფონი 9—18

გერონტი ქიქოძის
— წიგნი —
ეროვნული ენერგია
წერილების კრებული
(პოლიტიკა; ეკონომიური ცხოვრება; ხელოვნება)
გამოცემა ეროვნ.-დემ. ახალგაზრდობის ორგანიზაციისა.
გამოვა აგვისტოს პირველ რიცხვში. 5—3

შავრაზმელთა იერიშები

ჩვენ არა ერთხელ გვქონია ქართველი საზოგადოების ყურადღება მიგვექცია იმ გარემოებისათვის, რომ ყოველთვის, როდესაც ჩვენი მთავრობის რომელიმე აქტი ამტკიცებს ნორმალ სახელმწიფოებრივ წესწყობილებას და მოქალაქეობრივ ცხოვრების შესაძლებლობას, თბილისში დაბანაკებულ უცხო ხალხის ერთს შესამჩნევ ნაწილში მყისვე ასტყდება ხოლმე დიდი აურზაური! ანარქიულ ყოფა-ცხოვრებას ისე შეეჩვია ზოგიერთი, რომ სრულებით დაეკარგა წარმოდგენა წესიერებაზე, ზოგიერთებისათვის-კი პირიქით, ან ვიწრო ჯგუფურ ანგარიშების გამო პირდაპირ ხელსაყრელია, რომ ჩვენს ქვეყანაში გამეფებული იყოს საერთო არევ-დარევა და თვითნებობა. უთავბოლო ცხოვრებისაგან მოქანცული საქართველოს მოქალაქენი უზომო აღტაცებით ეგებებიან მთავრობის ღონისძიებას, რომელსაც მიზნად დაუსახავს [illegible] რესპუბლიკაში ძირიან ფესვიანად აღმოფხვრა სახელმწიფოს დამშლელ ელემენტებისა, სხვებისთვის-კი სწორედ ეს აქტები მთავრობისა შეიცავენ სიბოროტეს და მოქალაქეობრივ უფლების უარისყოფას.

საქართველოს სახელმწიფოებრიობას განსაკუთრებული ენერგიით ებრძვიან რუსული გაზეთები: სოციალისტური „ტრუდოვოე ზნამია" და კადეტური „ნაროდნაია სვობოდა". ეს ის გაზეთებია, რომლის გარშემო თავი მოუყრიათ შავრაზმულ და მცონარა რუს „ჩინოვნიკობას" და სხვა-და-სხვა ეროვნების უკიდურეს შოვინისტებს. მათი მიზანი ერთი და იგივეა: რაც შეიძლება მეტი არევ-დარევა შეიტანონ ახალი სახელმწიფოს ცხოვრებაში, რომ ადვილად ხალხი რესპუბლიკის უმაღლეს დაწესებულებათა და პირთა წინააღმდეგ და ამრიგად რესტავრაციას ნიადაგი შეუმზადონ. [illegible] ორგანო „ნაროდნაია სვობოდა" საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის განკარგულებებში ჰხედავს მხოლოდ შავ ბნელ რეაქციის ნიშნებს და 82 ნომრის მეთაურში შეუპოვრად აცხადებს, რომ „ამ საშინელების [illegible] ის ჰპოვებს სასყიდელს კონსტიტუციურ ხარისხისათვის ძლევამოსილ ბრძოლაში". ამ გაზეთის თანამოძმე „ტრუდოვოე ზნამია" პროტესტს გამოსთქვამს ჩვენი მთავრობისა და პარლამენტის მოქმედების წინააღმდეგ. ჩვენს სახელმწიფოს წყობილებას იგი ადარებს სამეფო რეჟიმის „დიდ მოძრაობის" ხანას. გაკოტრებულ პარტიის პუბლიცისტები საქართველოს მთავრობის მართვა-გამგეობის მეთოდებში ჰხედავენ ახლად „თვითმპყრობელობის ატრიბუტებს" და წინასწარ მეტყველებენ, რომ საკანონმდებლო და ადმინისტრაციული „თვითნებობა" უფსკრულში გადაჩეხს საქართველოს სახელმწიფოს.

რამ გამოიწვია რუსული გაზეთების ასეთი გადაჭარბებული და შეუთანხმებელი იერიშები მთავრობის წინააღმდეგ? არის თუ არა მთავრობის განკარგულებებში, ან მოქმედებაში რეაქციული და დესპოტიური პრინციპების დაცვა? საქართველოს მთავრობა გადაჭრით აცხადებს, რომ მის უპირველეს დანიშნულებას შეადგენს რევოლუციურ მონაპოვართა დაცვა, რისთვისაც მთავრობა იძულებულია ხშირად გააძლიეროს მმართველობის აპარატი. რევოლუციამ, სხვათა შორის, შეგვძინა დამოუკიდებლობა, რომელსაც ძირს უთხრიან „ტრუდოვოე ზნამია"-სა და „ნაროდნაია სვობოდა"-სთან ერთად ურიცხვი სპეკულიანტები და სახაზინო ქონების მიმტაცებლები. ამათთან ბრძოლისათვის შინაგან საქმეთა სამინისტროსთან დაარსდა საგანგებო რაზმი ფართო უფლებით აღჭურვილი. აი, სწორედ ამ რაზმის ლაშქრობამ გონება აუხინა საქართველოს დამოუკიდებლობის მტრებს და [illegible] ათასი ცილისწამება მთავრობისადმი. ნახსენებ გაზეთების მიერ ატეხილი განგაში ჩვენ კარგად გვესმის; ვიცით, რა ელაპარაკებს „მუშტრობულ რუსეთის" დამკვიდრებულ აგენტებს! მათთვის, რასაკვირველია, ხელსაყრელია, რომ საქართველოში სპეკულიანტები და ხაზინის ქურდები დაუსჯელად თარეშობდნენ! იმისი წინააღმდეგიც არაფერი აქვს კადეტ-ესერულ „იდეოლოგებს", რომ კონტრ-რევოლუცია მოედოს ჩვენს ქვეყანას და დემოკრატიულ წყობილებასთან გაიყოლიოს საქართველოს სახელმწიფოს სუვერენიტეტიც. პიროვნების ხელშეუხებლობაზე და კონსტიტუციურ პარტიაზე [illegible] მხოლოდ საბაბია ამ [illegible] სათვის, რომ გამოაშკარავონ ნამდვილი პოლიტიკური ზრახვანი: „ტრუდოვოე ზნამია" და „ნაროდნაია სვობოდა" აშკარად ესარჩლება სპეკულიანტებს, ხაზინის ქურდებს და შულერ-აზარტიანცის სახლის „გმირებს". [illegible] მორალის ორგანოები გარანტიას თხოულობენ იმ სუბიექტებისათვის, რომელთა ბინაზე საგანგებო რაზმის აგენტებმა აღმოაჩინეს ფუთობით პიროქსილინი, დინამიტი და სხვა ასაფეთქებელი ნივთიერება. იმ ორგანიზაციისაგან, „რომელიც დაწყევლილია ხალხის სიძულვილით", როგორც მოგვითხრობს „ნაროდნაია სვობოდა"ს და მოგვაგონებს ჟანდარმთა ცალკე კორპუსს, ასე დამშრალებული ახლად დაწესებული შინაგან საქმეთა სამინისტროსთან საგანგებო რაზმი, როგორც „ნაროდნაია სვობოდას" და „ზნამია ტრუდას" პუბლიცისტები კეთილსინდისიერებისათვის! მათ მიერ ატეხილი ყაყანი ჩვენ გვარწმუნებს იმაში, რომ საგანგებო რაზმი შესძლებს ნაძირალებთან ბრძოლას, ყოველს შემთხვევაში, ამ რაზმის დაწესება საგრძნობლად ჩააგდებს ჩვენი დამოუკიდებლობის მოძულეთ და რამდენადმე შეაფერხებს მათ მოღალატურ მოქმედებას.

შინაგან საქმეთა სამინისტროს უკანასკნელი აქტი ჩვენ მიგვაჩნია საუკეთესო ზომად სახელმწიფოს დამშლელ ელემენტებთან საბრძოლველად. სახელმწიფოს ძლიერ ნებით აპარატმა სათავეშივე უნდა ჩააქროს შეუშფოთებელ ცხოვრებისა და წესიერების წინააღმდეგ მიმართული გამოსვლანი.

[illegible] და ანარქიას მოსპობს გადაჭრილი და შეუდრეკელი სახელმწიფოებრივი ნების ყოფა.

მეგობრული დახმარება

მიუხედავად ათასგვარ დაბრკოლებისა, რომელიც წინ ეღობება ჩვენი ქვეყნის ახალგაზრდა და ნორჩ სახელმწიფოს ჩამოყალიბებას და განმტკიცებას, მიუხედავად იმ უამრავ პოლიტიკურ შეცდომებისა, რომელთაც ნებსით თუ უნებლიეთ სჩადიოდნენ და სჩადიან ჩვენი ერის საქმეთმპყრობელნი დღეს ჩვენ მრავალ ქარტეხილის და ღრუბლის შემდეგ მივაღწიეთ იმ ნავთსაყუდელს, სადაც უნდა შევჩერდეთ და ვიწყოთ ჩვენი საკუთარი სხეულის ჩამოყალიბება, ჩვენი სახელმწიფოებრივი აღმშენებლობა. და აი სწორედ აქ იწყება ქართველ ერისთვის შემოქმედებითი მუშაობა, აქ იწყება საძირკველი საქართველოს რესპუბლიკის მომავალ წესწყობილებას და ამ საძირკვლის ჩაყრისათვის კი უსაჭიროესია დიდი ცოდნა, სახელმწიფოებრივი თვითშეგნება, დაუშრეტელი ენერგია და ღრმა რწმენა საკუთარი თავის და უნარისა.

მძიმე მუშაობა [illegible] ჩვენი პარლამენტისა ფორმალურად არის [illegible] წინასწარი: უკანასკნელი სიტყვა ეკუთვნის საქართველოს კანონიერ ბატონ პატრონს—საქართველოს დამფუძნებელ კრებას. დღეს დღეობით კი ჩვენ წინასწარ შეგვიძლიან გადაჭრით ვსთქვათ, რომ ზოგადი ძირითადი დებულებანი, ძირითადი თვისებანი ჩვენი სახელმწიფოებრივი წესწყობილებისა თითქმის უკვე გამორკვეულია და უცვლელია. საქართველოს მომავალ დამფუძნებელ კრებაზე, მიმდინარე პოლიტიკური სიტუაციის მიხედვით რომ ვიხელმძღვანელოთ, ცხადია დიდს სადავო საგნად არ გადაიქცევა საქართველოს სახელმწიფოს რესპუბლიკად აღიარება. საკონსტიტუციო კომისია ეროვნული საბჭოისა უკვე შეუდგა თავის მუშაობას და იმედია ეროვნული საბჭო მზად დამუშავებულ პროექტით წარსდგება საქართველოს დამფუძნებელ კრების წინაშე. ამავე დროს წარსდგება საბჭო პარლამენტის წინაშე სახელმწიფო ძირითად კანონების, სისხლის და სამოქალაქო სამართლის კოდექსის, ადმინისტრაციულ წყობილების და მრავალ სხვა დამუშავებულ პროექტებით. ამ ძირეულ და პასუხისმგებელ მუშაობას, როგორც ზევით აღვნიშნეთ, სჭირია დიდი შრომა, დრო და გამოცდილება. ეროვნულ საბჭოს კი ამ [illegible] მეტად ძნელ პირობებში უხდება მუშაობა, რადგანაც [illegible] მდგომარეობა საქართველოს სახელმწიფოისა, როგორც საშინაო ისე საგარეო პოლიტიკაში ეროვნულ საბჭოს თითქმის უმეტეს დროს და ენერგიას იწირავს. თავის სხდომების მომეტებულ ნაწილს საბჭო ანდომებს მრავალ შეკითხვათა განხილვას. ეს შეკითხვები კი მიმდინარე მომენტს ეხებიან და ამ შეკითხვათა შესახებ გამოთქმულ გადაწყვეტილებებს უფრო ადმინისტრაციული და აღმასრულებელი ხასიათი აქვს, ვიდრე საკანონმდებლო. ცხადია ასეთი ანორმალური მდგომარეობა მეტად უშლის ხელს საბჭოს [illegible] მუშაობას; მისი აღმასრულებელი ორგანო, საქართველოს მთავრობა კი [illegible]

მტკიცე ზომები, გარკვეული პირდაპირი და სწორე გზა და ეს ხდება მხოლოდ იმიტომ, რომ ჯერ არ არის საბოლოოდ ჩამოყალიბებული ხალხის ნდობით აღჭურვილი სრულქმნილი ადმინისტრატიული აპარატი. ამ აპარატის ჩამოყალიბებას კი სჭირია დიდი დრო, ცოდნა და გამოცდილება. როგორ შეიძლება, მაგალითად, სახელმწიფოს საკანონმდებლო დაწესებულებამ აწარმოვოს დინჯი, დაფიქრებული მუშაობა იმ დროს, როდესაც ირგვლივ ამბოხების ცეცხლის ალი ტრიალებს, როდესაც ფინანსიური კრიზისი უმწვერვალეს ზომამდე მისული, როდესაც სახელმწიფოს არ მოეპოვება მტკიცე, გაწვრთნილი და რკინის დისციპლინის მუდმივი ჯარი, როდესაც სასურსათო კრიზისი და სპეკულაცია იმ ზომამდეა მისული, რომ ქვეყანას შიმშილის აჩრდილი დასტრიალებს თავს. ამგვარ პირობებში მეტად სამძიმოა ერთის მხრივ სახელმწიფო აღმშენებლობისთვის მუშაობა და მეორე მხრივ მიმდინარე არსებით საჭიროებათა დაკმაყოფილება.

ამგვარ კრიტიკულ მდგომარეობაში თუ ახლად დაარსებულ სახელმწიფოს ესაჭიროება სხვა გარეშე ძალების დახმარება და თუ ამ დახმარების გაწევა შეუძლიან მეგობრულად განწყობილ სახელმწიფოს, მან ამ დახმარებაზე უარი არ უნდა სთქვას და ისარგებლოს შემთხვევით, რომ ამ გზით თუ სრული ლიკვიდაცია არა, საგრძნობლად მაინც შესუსტდეს იმ ფაქტორების გავლენა, რომელნიც ჩვენი ქვეყნის საღამშენებლო მუშაობას ხელს უკრავენ.

ყოველ სახელმწიფო წყობილებას პირველ ყოვლისა ახასიათებს სამი ელემენტი: ხალხი, ტერიტორია და სახელმწიფოებრივი ძალა-უფლება. ეს უკანასკნელი ელემენტი ამ სამს ელემენტთა შორის ყველაზე უფრო არსებითია. თუ სახელმწიფო ძალა-უფლება სუსტია, იქ შეუძლებელია სახელმწიფოს მიმდინარე, ყოველ-დღიურ საქმიანობის წარმოება.

ამ ჟამად საქართველოს სახელმწიფოებრივ ძალა-უფლების გამომხატველია ეროვნული საბჭო და მთავრობა. ამ უკანასკნელს მრავალი და მძიმე სადღეისო მუშაობა აწევს თავს: მან უნდა მოაწესრიგოს ადმინისტრაცია, ფინანსები, სასურსათო საქმეები, ხელმძღვანელობა გაუწიოს ძლიერ და მტკიცე ჯარის ჩამოყალიბებას და სხ. დღევანდელ მძიმე პირობებში კი ამ მოვალეობის სასურველად აღსრულება არც ისე ადვილი საქმეა და თუ ჩვენ შეძლება გვაქვს და გარემოებაც ხელს გვიწყობს, რომ მეგობრულ სახელმწიფოთა დახმარებას მივმართოთ, ეს არ იქმნება შემლახველი არც ჩვენი სახელმწიფოს სუვერენობისა და არც ჩვენი ეროვნული თავმოყვარეობისა.

ზ. ტ—შვილი.

დღეს დეპეშათა სააგენტოს ომის დეპეშები არ გადმოუცია.

ქრონიკა

თბილისი.

◆ **პური.** საქართველოში პურის დასამზადებლად საგანგებოდ დანიშნული სასურსათო მინისტრის რწმუნებული ვ. გ. არდიშვილი უკვე შეუდგა პურის შეგროვებას. გლეხებს პურში ფულის გარდა სხვადასხვა საქონელსაც აძლევენ.

◆ 27 ივლისს თბილისში გამოვა სოც.-რევოლუციონერთა პარტიის ორგანო „შრომა“.

◆ **საქონლის გამცვლელ კომიტეტში** თბილისის ბანკების წარმომადგენლებად დაინიშნენ: ალ. გ. ჯაბადარი, ი. მ. ლორთქიფანიძე და ტიტე მარგველაშვილი, გზათა მიმოსვლის სამინისტროსაგან ა. ტოლსტონგოვი და ლ. ასათიანი.

◆ თბილისის მილიციის უფროსმა განკარგულება გასცა, რომ დაპატიმრებული მძიმე დამნაშავეები ღამ-ღამობით აღარ გაგზავნონ ხოლმე.

◆ ივლისის 18-ს ღამე თბილისის სადგურზე მდგარ გერმანელთა სარკინიგზო ბატალიონის კანცელარიიდან მოიპარეს სკივრი 56000 მანეთით. ტფილისის სისხლის სამართლის მილიციამ გამოარკვია, რომ ფული მოუპარიათ სტეფანე გოგიას, დიმიტრი ჯიბაშვილს და ტრიფონ ჩიჩიბაიას, 2 უკანასკნელი დაპატიმრეს და ქურდობაში გამოტყდნენ.

◆ ფინანსთა სამინისტროსთან შემდგარ თათბირზე დადგენილ იქმნა: საგერბო ნიშნების, საქტო ქაღალდების, ბანდეროლების და ბანქის ქაღალდების ბეჭდვა გადაეცეს ბანკების დასამზადებელ ექსპედიციას, დაწესდეს უსასტიკესი კონტროლი, რომ ასეთი ქაღალდები კერძო სტამბებში არ იბეჭდებოდეს. სხდომას დაესწრნენ ექსპედიციის წარმომადგენლები, რომელთაც განაცხადეს, რომ ორი ახალი მანქანების დამუშავების გამო ექსპედიციის მუშაობა შეიძლება ერთი ორად გაძლიერდეს.

◆ უკანასკნელ დღეებში ქალაქის სხვა და სხვა ნაწილებიდან ქალაქის საავადმყოფოში მოიყვანეს 16 ხოლერიანი და 8 საეჭვო ავადმყოფი. ხოლერიანების განყოფილებაში საეჭვო ავადმყოფთა განყოფილებიდან გადაიყვანეს 2, სხვა განყოფილებიდან—2 ხოლერით ავად გახდარი. კარგად გახდა და გამოეწერა რვა კაცი. ერთ დღე და ღამეში 12 ხოლერიანი გარდაიცვალა და 2 საეჭვო ავადმყოფი. 23 ივლისისთვის დარჩა 182 ხოლერიანი და 27 საეჭვო ავადმყოფი.

◆ თბილ. მუშ. და ჯარ.-ჯ. დეპ. საბჭოს აღმასხ. კომიტეტის ბიუროს სხდომაზე ივლისის 23, მიღებულ იქმნა საგანმანათლებლო სექციის განცხადება ამ სექციის გაუქმების შესახებ, ა. მალხაზოვის და რუბრუხის განცხადება რევოლუციონურ ტრიბუნალიდან მათი გამოსვლის შესახებ. დაადგინეს აღმ. კომიტეტთან დაარსდეს საბჭოს ისტორიისთვის საჭირო მასალის შესაკრებად განყოფილება, რომელშიაც შევლენ: მუხარინსკი, რუბრუხი და ქიაბრიშვილი. დამტკიცებულ იქმნა თბ. გუბერნიის სასოფლო კომისიის ხარჯთ-აღრიცხვა, კომისიას ეყოლება 27 მუდმივი მოქადაგენი, რომელნიც მთელ გუბერნიაში სააგიტაციო და საორგანიზაციო მუშაობას გასწევენ; თითოს თვეში ჯამაგირი 600 მან. ეძლევათ. შესაძლებლად იქმნა აღიარებული ღვინით ვაჭრობის ნების მიცემა მხოლოდ ქალაქის თვითმმართველობის მიერ შემუშავებულ პირობებით.

◆ შინაგან საქმეთა სამინისტროს რწმუნებულს ვ. სურგულაძეს დაევალა საქართველოს მიწა-წყალზე ახალ ადგილებში ტელეფონის და ტელეგრაფის გაყვანის გეგმის შედგენა.

◆ საქართველოს ეროვნულ საბჭოს აცნობებენ, რომ ლეჩხუმის საზოგადოებაში შიმშილია. მოსალოდნელია ამ ნიადაგზე ექსცესები. საჭიროა სასწრაფო ზომების მიღება.

◆ სასურსათო სამინისტროს გუბერნიის სხვა და სხვა ადგილებიდან აცნობებენ, რომ იქ წარმოუდგენელი შიმშილია. იყო შიმშილით სიკვდილის მაგალითები. სამინისტრო ცდილობს ადერბეიჯანში საქონლის გაცვლით პური შეიძინოს გურიისათვის.

◆ მთავრობამ აღძრა საკითხი იმის შესახებ აგრარული რეფორმის კანონი შეეხება უცხოელებს თუ არა—სახეშია მიღებული აქ სხვა და სხვა დაკანონებანი.

◆ **ოზურგეთის ქალაქის თვითმმართველობა** 900,000 მანეთს სთხოვს მთავრობას სესხად.

◆ **საქონლის გამცვლელ კომიტეტმა** მოკლე ხანში უნდა გადასწყვიტოს შემდეგი საკითხი იმის შესახებ, თუ საქართველოში გერმანიიდან და უკრაინიდან რა და რა და რამდენი საქონელი უნდა შემოიზიდოს.

◆ **ქუთაისის წყალ-სადენი.** ქუთაისის ქალაქის თავმა კალანდარიშვილმა შინაგან საქმეთა მინისტრს წარმოუდგინა მოხსენება და ინჟ. ქურდიანის მიერ შედგენილი პროექტი მუხიანის აგარაკის წყაროებიდან წყალსადენის გამოყვანის შესახებ. წყალსადენის სიგრძე 30 ვერსი იქნება, ტემპერატურა 6 გრადუსი ცელსიით. ქიმიურ და ბაქტერიოლოგიურად წყალი სამაგალითოა. წყალსადენს 500,000 ვედრო წყალის მოწოდება შეუძლია. გზა და გზა წყლით ის სოფლებიც ისარგებლებენ, რომლებსაც ამ ჟამად სრულიად არ მოეპოვებათ სასმელი წყალი. წყალსადენის გამოსაყვანად 7—8 მილიონი მანეთია საჭირო.

◆ საქართველოს მთავრობამ გერმანიაში 700 ქართული საწერი მანქანა შეუკვეთა.

◆ **ქ. სიღნაღი.** სიღნაღიდან ეროვნულ საბჭოს დეპეშით აცნობებენ: მაზრაში ხოლერა ძლიერდება და უკვე მოიცვა ს. ს. ქვემო კედს, ზემო მაჩხაანს, არბოშიკს და სხვა ახლო-მახლო მდებარე იმ ადგილებს, საცა ლტოლვილები არიან. მცხოვრებნი ღელავენ, მოითხოვენ ლტოლვილთა უკან გაბრუნებას. მიღებულია სასწრაფო ზომები ხოლერის შესაჩერებლად. გთხოვთ სანიტარული რაზმი გამოგზავნოთ. ერთად-ერთი გამოსავალი ლტოლვილების უკან დაბრუნებაშია. გამოირკვა, რომ ლტოლვილთა უმეტესი ნაწილი შეძლებულები არიან და წამოსულან ნუხის მაზრის იმ სოფლებიდან, საცა ხოცვა-ჟლეტა არა ყოფილა. იშუამდგომლეთ ადერბეიჯანის მთავრობის წინაშე, რომ ლტოლვილნი ეხლავე დააბრუნონ მათ სამშობლოში. მცხოვრებთა დასაწყნარებლად კომისარიატი ლტოლვილთა მაზრის საზღვარზე თავის მოყრას შეუდგა“.

◆ მელიქ-აზარიანცის სახლის გაჩხრეკის დროს ოლღას ქ., დაბლა სართულში აღმოაჩინეს 40 ყუთი პიროქსილინი, ბევრი პატრონები და სხ. მეორე ჩხრეკა მოახდინეს ყარალინოვის ქუჩაზე № 9 და იქაც აღმოაჩინეს მოწყობილობა, ზარბაზნების დასამზადებელი მოდელი, ყუმბარების დასამზადებელი დაზგა და სხვა. ჩხრეკას ხელმძღვანელობდა რკინის გზის უფროსი მილიციონერი მაჭავარიანი.

◆ **ლტოლვილთა საყურადღებოდ.** ქალაქში ხმა გავრცელდა, რომ საქართველოს სამხედრო გზით ლტოლვილთ უშვებენ კავკავისაკენ. ამის გამო შტაბი აცხადებს, რომ ამ გზით ლტოლვილებს არ გაუშვებენ, ვიდრე შესაფერი ნებართვა არ გამოვა.

◆ გურიიდან სურსათის მინისტრს აცნობებენ, რომ შტაბთან არსებულმა განსაკუთრებულ უფლებებით აღჭურვილმა კომისიამ საქმიანობიდან გადააყენა გურიის საოლქო სასურსათო გამგეობა სპეკულაციის გამო. სურსათის მინისტრი სპეციალურ რევიზიას ნიშნავს გამგეობის საქმეების გამოსაძიებლად.

◆ **შტატების შემცირება ფოსტა-ტელ. უწყებაში.** დ. ხოშტარიას თავმჯდომარეობით შედგა კომისია, რომელმაც ნაციონალიზაციის გამო უნდა შეამციროს შტატები. კომისიის დავალებული აქვს აგრეთვე ფოსტა-ტელეგრაფისა და ტელეფონის რეორგანიზაციის საქმე. შინაგან საქმეთა სამინისტროდან წარმომადგენლად დაინიშნა ვ. სურგულაძე.

◆ **წყლის ანალიზი.** ქალაქის საავადმყოფოს პროზექტორმა ექიმმა მუხარინსკიმ ქალაქის გამგეობას შეატყობინა, რომ ქალაქის სხვა და სხვა ნაწილებში წყალსადენიდან აღებულ ნიმუშებში ხოლერის ვიბრიონები არ აღმოჩნდნენ.

◆ **ხევსურთა ფარიკაობა (კეპნაობა).** დღეს 26 ივლისს თბ. საარტისტო საზოგადოების საზამთრო თეატრში პირიქით და პირაქეთ ხევსურეთიდან მოწვეულნი ხევსურნი, ცენტრალური ქართველთა სამხედრო კავშირის მიერ, პირველად თბილისში ხმლისა და ფარის მოხდენილ ტრიალს აჩვენებენ, რომელსაც თვითონ ხევსურნი ფარიკაობას ანუ კეპნაობას უწოდებენ. ხევსურნი ძველებურ რკინის პერანგებში ჩაჩქან-მუზარადში ჩასხმულნი იკეპნებიან ჯუფ-ჯუფად და ცალ-ცალკე. კეპნაობას მეთვალყურეობას გაუწევს ამ საომარ ვარჯიშობის თავიანთ წესზე დასაცავად ხევის ბევრი გოგოთურ პინჯარაული. ფარიკაობის შემდეგ გაიმართება ეროვნული კონცერტი ქართველთა სამხედრო კავშირის გაძლიერებულ გუნდისა კომპ. ნ. პ. სულხანიშვილის ლოტბარობით და ი. პ. სარაჯიშვილის მონაწილეობით. კონცერტში ხევსურნი დაუკრავენ ფანდურზე და დამღერენ.

◆ **იაპონიის ელჩის განცხადება.** იაპონიის ელჩმა მოსკოვში რუსეთის რესპუბლიკის საგარეო საქმეთა კომისარს განუცხადა, რომ იაპონიას არავითარი საბუთი არა აქვს და არც არავითარ სარგებლობას არა ჰხედავს რუსეთის შინაურ საქმეებში ჩარევისათვის.

◆ **სიმინდი.** თბილისში უკვე მოაქვთ სიმინდი, რომელიც ამ ერთი თვის წინად გამოიგზავნა კავკავიდან ტრანსპორტით, მაგრამ დუშეთის მაზრაში არეულობის გამო სამხედრო გზის სხვა და სხვა ადგილებში იყო გაჩერებული.

◆ **ქუთაისის ქალაქის** თვითმართველობამ შუამდგომლობა აღძრა მთავრობის წინაშე, გადაიცეს მას განკარგულებაში სახელმწიფო ხაზინიდან რვა მილიონი მანეთი წყალ სადენის გამოსაყვანად.

◆ **კრიზისი.** გასათბობი თხელი მასალის უქონლობა შესამჩნევი ხდება. მთელ საქართველოში 20 ივლისისთვის დარჩენილი იყო 392 ათასი ფუთი ნავთი. ამ რიცხვიდან თბილისს, სამტრედიისა, ფოთისა და ქუთაისის განათებისა და წყალ-სადენისათვის გადაიდო ოთხი თვის საკმარი მასალა 183 ათასი ფუთი. ფოთისა, ხაშურის და სანაინის რკინის გზის ხაზს სათბობი 10 დღის ეყოფა, სამტრედიისა, შორაპნის და ხაშურის ხაზს 20 დღის ეყოფა. საერთოდ, დარჩენილი სათბობი საკმარია 15 დღისთვის და თუ 22 ივლისიდან ნავთის გადმოზიდვა არ დაიწყო ბაქოდან, 2 აგვისტოდან აუცილებელი გახდება ტრამვაისა და მატარებლების მოძრაობის შეწყვეტა. ამიტომ ვაჭრობა-მრეწველობის სამინისტროსთან არსებულმა თათბირმა საჭიროდ სცნო ტრამვაის ელექტრონის სადგურისა და ორთქლ-მავლების ქვაბები გადაკეთებულ იქმნან ისე, რომ მათი გათბობა შეიძლებოდეს ქვანახშირითაც.

◆ **90,000 მან. გატაცება.** 22 ივლისს სად. „სანდარში“ მივიდა რკინ. გზის სასურსათო კომიტეტის წევრი. მას თან ჰქონდა ვაგონში 90,000 მან. რომლითაც უნდა ხორბალი ეყიდნა. ღამე ვაგონში შეცვივდნენ რამდენიმე შეიარაღებული ბოროტმოქმედი, გატაცეს ფული და მიიმალნენ.

პარტიული ცხოვრება

◆ საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის ხონის კომიტეტმა ქუთაისის სამაზრო-საერობო კრებულში კანდიდატებათ ხმოსნობაზე ასარჩევათ ხონის რაიონიდან, რომელშიაც შედის ქალაქი ხონი და ხუთი სოფლის საზოგადოება, დასახელდა ხუთი კაცი: არისტო დიმიტრის ძე აბაშიძე, იოილი რომანოზის ძე ყორღანია, კონსტანტინე ნიკოს ძე ოდიშარია, ნიკოლოზ დავითის ძე იაშვილი და აპოლონი ივანეს ძე აბაშიძე.

შეცდომის გასწორება

ჩვენი გაზეთის ამა თვის 23 (სამშაბათის) ნომერში ბ-ნ ი. ხა—ლის წერილს უნდა ერქვას არა „საქართველოს ისრაელები“, არამედ „ქართველი ისრაელები“.

ხევსურები თბილისში

გუშინ, ივლისის 25 სასახლის თეთრ დარბაზში საქართველოს მთავრობის თავმჯდომარეს ნოე ჟორდანიას წარუდგნენ თბილისში ჩამოსული ხევსურთა წარმომადგენლები, ფარ-ხმალში გამოწყობილნი დაახლოვებით 40 კაცი. ნოე ჟორდანიამ მათ მოკლე სიტყვით მიმართა, რომლითაც მოუწოდა მათ ისევე დაიცვან დღეს დამოუკიდებელ საქართველოს საზღვრები ჩრდილოეთის მხრით, როგორც ამას უწინ მათი წინაპარნი სჩადიოდნენ და სამაგიეროდ აღუთქვა, რომ საქართველოს მთავრობა მათთვის მუდამ იზრუნებს და ყოველ მათ გასაჭირს მხედველობაში მიიღებს.

მთავრობის თავმჯდომარეს ფრიად საყურადღებო სიტყვით უპასუხა ხევსურთა დელეგაციის მეთაურმა ცნობილმა გოგოთურ პინჯარაულმა. მან აღნიშნა, რომ ხევსურნი მუდამ ერთგულნი იყვნენ მთავრობისა, მეფისა და სამშობლოსი. მას შემდეგ რაც დაემხო ტახტი ბაგრატიონისა, ხევსურნი და მთელი საქართველო თავს ობლად გრძნობდნენ. ეხლა, სთქვა პინჯარაულმა, სიხარულით ივსება ჩემი მოხუცებული გული, ბატონ-პატრონს რომ ხედავს. ეხლა იმედიანათ შეუძლია დაბრუნდნენ შინ, რომ გაიგონეს ნამდვილი მთავრობის სიტყვა. ხევსურთ ბევრი აქვთ გასაჭირი, მაგრამ ყველაფრის თქმა კიდეც ეშინიათ და კიდეც ეკრძალებით. თქვენს წინათაც იყო მთავრობა და ამბობდნენ აქაური ენით, მაგრამ ჩვენს გასაჭირს ყური არ ათხოვა. თქვენ ინებეთ გვიბრძანებით, რომ იარაღი ძმა-ძმისთვის არ მოვიმართოთ. ხევსურთ ერთმანეთში იარაღი არ სჭირიათ, მაგრამ [illegible], რომ როცა მტრებიც ხმარობიან, შინაურთაც რადგა სწვდიათ. ჩვენ კი ვერ მოვსპობთ ერთმანეთის არევას, თქვენ მთავრობამ უნდა გვიბრძანოთ. ჩვენ იმაზედ ვწუხვართ, რომ თქვენ რომ გასაჭირი გქონდათ, ჩვენი მტრების მოგერებამ ხელი შეგვიშალა მოგშველებოდით. ეხლა კი გამოიღეთ სიტყვა, რომ იქ ვინმემ მოგვხედოს, თორემ ისეთივე შეუგნებელი დავრჩებით, როგორც უწინ ვიყავით.

მთავრობის თავმჯდომარემ უპასუხა, რომ მთავრობა ზრუნავს მათზედ და ის ქისტები და სხვები რომ აღარ ეცემიან თავს, ეს იმ მოლაპარაკების შედეგია, რომელსაც მთავრობა აწარმოებს მათ ხევსურთა უზრუნველსაყოფად.

გოგოთაურმა მოახსენა აგრეთვე მთავრობას, რომ ხევსურნი მტკიცედ დაიცავენ საზღვრებს და ქისტებს აღარ შემოუშვებენ, მხოლოდ მთავრობამ იზრუნოს, რათა კომისრებად თუ სხვა ვინმე ხალხის კეთილსაყოფელად დაინიშნონ, თორემ თქვენი კომისარი იყო მინდიაშვილი, რომელიც ქისტებთან წვებოდა და რომ დაბრუნდა გვითხრა: თქვენ იმით თავს ესხმით, თორემ ისინი არაფერ შუ-ში არიანო. მე კარგათ გამიმასპინძლდნენ და ცხვარიც დამიკლესო. ჩვენგან გადარეკილი ცხვარი რომ მისთვის დაუკლავთ აბა რა გასაკვირია.

გამოთხოვებისას მთავრობის თავმჯდომარემ წინადადება მისცა ხევსურთ, ორი კაცი გამოაგზავნონ ხოლმე დრო გამოშვებით მთავრობასთან, რომ თქვენი ჭირ-ვარამი გადმოგვცეს ხოლმე.

თავმჯდომარე ხევსურებმა „მთავრობას გაუმარჯოს“ ყვირილით გაისტუმრეს.

ნაშუადღევის სამ საათზედ ხევსურების ფარიკაობის სურათი სასახლის ბაღში გერმანულ კინემატოგრაფის წარმომადგენლებმა გადაიღეს.

დღეს საღამოს ხევსურები მიწვეულნი არიან არტისტიულ თეატრის საზამთრო შენობაში, სამხედრო კავშირის კონცერტზე, სადაც საზოგადოებას აჩვენებენ ხევსურთა ფარიკაობას (ანუ ხმლით ვარჯიშობას) თავის ეროვნულ ტანთსაცმელში.

რუსეთის ამბები

— **კიევი.** ვაჭრობა-მრეწველობის სამინისტროსთან არსებულ სავაჭრო საეკონომიო კომისიამ განიხილა უკრაინა-რუსეთის საზღვრების საკითხი უკრაინის ეკონომიური ინტერესების თვალთსაზრისით და საჭიროდ სცნო, რომ უკრაინას შეუერთდეს კურსკის მდებარე ოლქი, როსტოვისა, ტაგანროგისა და ალექსანდროვ-გრუშევსკის ოლქები და ჩრდილო მაზრები ჩერნიგოვის გუბერნიისა. თუმცა ამ ადგილებში მოსახლეობა მომეტებულად არა უკრაინელია, მაგრამ ეკონომიურად მჭიდროდ არის დაკავშირებული უკრაინასთან. უკრაინის ჩრდილოეთით უნდა შეუერთდეს ყველა ადგილები გომელამდის, პ. ჩეპამდის და კოპრამდის.

საბაჟო უწესობა

ჩვენ სიამოვნებით აღვნიშნავთ იმ გარემოებას, რომ ჯერ-ჯერობით ერთი საფინანსო აპარატი ჩვენი რესპუბლიკისა უკვე მოწყობილია: თბილისის მთავარ საბაჟოში უკანასკნელ დღეებში დღიურად ოცი ათას მანეთამდე შემოსავალი შემოდის. ახალი საბაჟოებიც გახსნილა ჯერ-ჯერობით ნატანებში, სოფ. ოდიში და სამ ინში, რომლებიც ძლევენ შესაფერ შემოსავალს. ამ დღეებში [illegible] იხსნება ახალი საბაჟო. უმთავრესი საქონელი, რომელიც შემოდის საზღვრებიდან დასაბეგრავად, ეს არის ღვინო, ხილეულობა და ხალიჩები. თბილისის მთავარ საბაჟოში ყოველ დღიურად იბეგრება შემოტანილი 10—12 ვაგონი ღვინო, სადგურზედაც მატარებლებს ხვდებიან მოხელეები და სიზუსტით ბეგრავენ ბარგ-საქონელს. ასე რომ თუ ამ სახით შემოვიდა ბაჟი თბილისის საბაჟოში, როგორიც დღეს არის, მაშინ უეჭველია, რომ ეს საბაჟო მისცემს ჩვენს რესპუბლიკას წლიურ შემოსავალს რამდენიმე მილიონ მანეთს.

საბაჟოებიდან უკვე გადაუყენებიათ ნიკოლოზ რომანოვის ერთგული მოსამსახურენი ლებედევ—სტოკოვი და აგრეთვე ის მეცნიერი ხუკთა ხორა მოხელეები, რომელნიც საბაჟო ში

თურმე საათზე მობრძანებულიყვნენ და პატარა მოხელეთა ნამუშევარს მხოლოდ ხელს აწერდენ. ფინანსთა და ვაჭრობა-მრეწველობის მიერ მოწყობილი სპეციალური საბაჟო კომისიამ უკვე დაამთავრა. ამ კომისიამ ახალი შტატები შეიმუშავა, ეს შტატები მთავრობამ დაამტკიცა და ეროვნულ საბჭოს გადასცა. მოხელეთა რიცხვი შემცირებულია და ხარჯი შემოკლებული. საქართველოს ტერიტორიაზე დაარსებული რუსეთის მთავრობის საბაჟოები, რიცხვით 14, გაუქმებულია, ნაცვლად ამისა დაარსებულია 19 საბაჟო სხვადასხვა ადგილას საქონლის დასაქცევის და გაცვლა-გამოცვლის უფლებით, როგორიც უფლება რუსეთის პატარა საბაჟოებს არ ჰქონდა. მიუხედავად ამისა ხარჯი 300 ათას მანეთით ნაკლებია, ვინემ დღემდის იყო. მართვა-გამგეობის მხრივ ჩვენი რესპუბლიკის ახალი საბაჟოები უდრის ბელგეთის საბაჟოებს, შტატები კი გერმანეთის საბაჟოებს. ნათქვამია: „ზოგი ჭირი მარგებელია" რუსეთის მთავრობა ქართველ საბაჟო უწყების მოხელეებს სამშობლოდან სდევნიდა და ნიშნავდა სხვადასხვა ქვეყნის საზღვრებზე, ზოგს გერმანეთის, ზოგს ავსტრო-უნგრეთის, ზოგს რუმინეთის, ზოგს სპარსეთის და ზოგს სხვაგან.

მაგრამ სამშობლოდან დევნილ ქართველ მოხელეებმა სხვადასხვა საზღვრებზე სამსახური დღეს ჩვენი რესპუბლიკის სასარგებლოდ გამოიყენეს. ამის მაგალითს ვხედავთ ჯერ-ჯერობით ზემოხსენებულ კომისიის ნამუშევარში და თვით თბილისის საბაჟოს ნაყოფიერ მოქმედებაში. თვრამეტი დღეა, რაც ახალი საბაჟოები მოეწყო და გარდა დიდი შემოსავლისა, საქონლის გაცვლა-გამოცვლის კონტროლსაც მიჰყო ხელი. როგორც გამოირკვა, თურმე ბევრი სხვა საქონელი გაჰქონდათ საზღვარ-გარეთ და ბევრიც შემოჰქონდათ უბაჟოდ, დღეს კი ფინანსთა და ვაჭრობა-მრეწველობის მინისტრის ნებადაურთველად არავითარი საგანი საქონლის სახით არ გადის ჩვენი ტერიტორიიდან საზღვარ გარეთ. ნეტავ ადრე მოეწყოთ ახალი საბაჟოები, საქვეყნო მასალები მაინც შეგვრჩებოდა, ვინაიდან როგორც გამოირკვა, სრულიად გაუტანიათ აზერბეიჯანში. დროა მოვმართოთ ყველა უწყების აპარატები.

ხოკ.

„თვითგამორკვევა" ბათუმის ოლქში

ბათუმში.

14 ივლისს ბათუმში კენჭის ყრაში მონაწილეობა უნდა მიეღო 4312 კაცს. უნდა დაესწრებოდა 2829 კაცი, და დასწრებია 1483 კაცი.

ოსმალეთთან შეერთების სასარგებლოდ ხმა მისცა 2669 კაცმა წინააღმდეგ—160.

ეროვნების მხრით ხმები ასეა განაწილებული:

1) პოლონელებმა, მუსულმანებმა, უკრაინელებმა, სპარსელებმა, თურქებმა, დასავლეთ-ევროპის და კავკასიის ერებმა ოსმალეთის სასარგებლოთ მისცეს 728 ხმა, წინააღმდეგ—95, არ გამოცხადებულა 857.

2) ქართველებმა, სომხებმა და ებრაელებმა ოსმალეთის სასარგებლოთ 644 ხმა, წინააღმდეგ—30, არ გამოცხადებულა 430 კაცი.

3) რუსებმა მისცეს ოსმალეთის სასარგებლოთ 467 ხმა, წინააღმდეგ 77, არ გამოცხადებულა 648 კაცი.

4) ბერძნებმა ოსმალეთის სასარგებლოთ მისცეს 830 ხმა, წინააღმდეგ 8 არ გამოცხადებულა 48 კაცი.

აქვე მოგვყავს სიტყვა-სიტყვით არჩევნების მომწყობი კომისიის ოქმი:

ოქმი. „ბათუმში არჩევნებში მომწყობ კომისიის სხდომისა, რომელიც მოხდა ამა წლის ივლისის 11-ს (ახ. სტ.), დილის 10 საათზე ქალაქის გამგეობის შენობაში.

სხდომას ესწრებიან—თავმჯდომარე კომისიისა ე. ა. ბორაძკოშიცა და წევრები—მაჰმუდ-ბეგი ეფენდიევი, ძ. ა. კრასნიცკი. ვოლფენზონი, იოსებ ნაკაშიძე, რედიგიონი, სულეიმან-ბეგი, სადჯაკ-ბეგ-ზადე, ი. ი. კალფოღლი, გრ. გიგინეიშვილი, გიუბნერი და მ. ლ. დინიათ-ოღლი.

თავმჯდომარე კრების გახსნისას, დაწვრილებით მოახსენებს დამსწრეთ იმ ცვლილებათა შესახებ, რომელიც შეტანილ იქმნა გუბერნატორის მიერ მცხოვრებთადმი მიმართულ ტექსტში, რომელი ტექსტიც კომისიის მიერ იქმნა გამომუშავებული 9 ივლისის სხდომაზე. თავმჯდომარე დიდ ყურადღებას აქცევს იმ მეტად დიდმნიშვნელოვან მოვლენას არჩევნებისათვის, რომელიც მოხდენილია გუბერნატორის მიერ: სხვა მცირე ცვლილებებს რომ თავი დავანებოთ, ერთი დიდი ცვლილებაა შეტანილი, რომელიც ძირიანათ ეწინააღმდეგება კომისიის აზრს ამ კარდინალურ და ძირითად კითხვაზე: ფარული კენჭის ყრა შეცვლილია ახდილი ხმის მიცემით.

ვოლფენზონი კომისიის საყურადღებოთ აქცევინებს ოტომანის მთავრობიდან მიღებულ ტექსტს არჩევნების შესახებ, სადაც ლაპარაკია არჩევნებში სინდისის სრულ თავისუფლებაზე, რაც ეწინააღმდეგება გუბერნატორის კატეგორიულ მოთხოვნას, რომ არჩევნები ღია კენჭის ყრით მოხდეს.

თავმჯდომარე აცხადებს, რომ ის კომისიის 9 ივლისის დადგენილების თანახმად, ეხლა როცა იგი შეცვლილია, მცხოვრებთადმი მიმართულ ამ ტექსტს ხელს არ მოაწერს.

გრ. გიგინეიშვილი მხარს უჭერს და სცნობს რა მხოლოდ ფარულ კენჭის ყრას, აღნიშნავს კიდევ იმ ფაქტებს, რომლებიც მოიპოვება ამ არჩევნებში. ის ამბობს, რომ თუ ბრესტის ხელშეკრულებას ვცნობთ, ისიც უნდა ვაღიაროთ, რომ თვითგამორკვევა უნდა მოხდეს საზოგადოებრივი ცხოვრების მშვიდობიან და ნორმალურ სვლელობის დროს, რაც ეხლა არ არსებობს, რადგანაც დიდი უმრავლესობა ძირითად მცხოვრებლებისა აქ არ იმყოფება—მაგალითად, აქ არ არის სრულიად ადგილობრივად მცხოვრები სომხობა.—ამას გარდა, ქართველობა წარმოდგენილია მხოლოდ უმნიშვნელო პროცენტებში წინანდელ რიცხვთან შედარებით. ეს გამოწვეულია იმით, რომ ისინი ნებართვის მიღების სიძნელის გამო აქამდე მოკლებული არიან საშუალებას დაბრუნდენ ბათუმში, სადაც მათ აქვთ სახლები, სავაჭრო დაწესებულებანი და სხვა ქონება. თუ ჩვენ ეს ფაქტები აქამდე არ აღვნიშნეთ, ეს უმთავრესად იმიტომ, რომ არ გვეწადა გაგვემწვავებინა ურთიერთობა ოტომანის მთავრობასთან, რომლის მიმართ ჩვენ მეტად ლოიალური და კოლექტიური განწყობილება გვაქვს. ვურიგდებით რა იმ ფაქტს, რომ დაპყრობილი ბათუმი გადასულია ოსმალეთის ხელში, ჩვენ ვრჩებით აგრეთვე ჩვენი სამშობლოს ნამდვილ შვილებად, მაგრამ მცხოვრებთა თვითგამორკვევის დროს ჩვენ ვიცავთ ფარულ კენჭის ყრას და ვმოქმედობთ ისე, როგორც ამას ჩვენი სინდისი და ჩვენი საზოგადოებაც მოითხოვს, რომელიც როგორც ჩვენ ვიცით, არჩევნებში მონაწილეობის მიღებაზე სრულიად უარს იტყვის, თუ არ იქნა დაცული ეს სამართლიანი პირობა, ეს დროზე უნდა ეცნობოს ბ-ნ გუბერნატორს, რომ მან ამაში მტრული განწყობილება არ დაინახოს პროტესტის ხასიათისა.

რედიგიონი ჰფიქრობს, რომ კომისიას არავითარი კავშირი არა აქვს ამ საკითხთან (ფარულ თუ ახდილ კენჭის ყრასთან) და მოითხოვს დაკმაყოფილებას არჩევნების ტეხნიკური მხრით.

თავმჯდომარე კიდევ გამოსთქვამს თავის შეხედულებას ამ საგანზე და საჭიროდ სთვლის მიღებულ იქნას ფარული კენჭის-ყრა და სხვა არჩევნების წესები (მიღებულნი კომისიის მიერ), როგორც საფუძველი არჩევნებისა ან და მცხოვრებთადმი ყოველგვარ მიმართვისაგან თავის შეკავებას და ყოველგვარ პასუხისმგებლობის უარყოფას, როგორც არჩევნების წარმოების დროს, ისე მის შედეგებზე.

ვოლფენზონი წინადადებას იძლევა ამ შემთხვევაში კომისია დაკმაყოფილდეს იმ ჩვენებებით და წესით, რომელიც ბოძებულ იქნება გუბერნატორის მიერ არჩევნების მოხდენის დროს.

დ—რი ეფენდიევი იმ აზრისაა, რომ ბათუმი არ შეადგენს არავითარ გამონაკლისს, რომ მის მცხოვრებთ მიეცეთ ფარული კენჭის-ყრის უფლება, რაც სხვაგან ყველგან მოხდა ღიად ხმის მიცემით. ჩვენ კომისიას,—ამბობს ის,—არა აქვს ისეთი დიდი უფლებანი, როგორც ეს ზოგიერთებს ჰგონია, ის არის მხოლოდ გუბერნატორთან არსებული სათათბირო ორგანო. საქმე ახდილი კენჭის-ყრის დროს უფრო მარტივია და არავითარ ძალდატანებას ადგილი არ აქვს. ფარული კენჭის ყრა კი აშკარად ეწინააღმდეგება გუბერნატორის მოთხოვნილებასო.

ი. ი. კალფოღლი კომისიის მოვალეობად სთვლის, რომ მან აცნობოს გუბერნატორს ქალაქის მცხოვრებთა შეხედულობა ამ საგანზე, რომელიც, როგორც მან [illegible] ეწინააღმდეგება ახდილად მოხდენილ არჩევნებს და იქნებ არჩევნებში, თავის უმრავლესობაში, სულ არ მიიღოს მონაწილეობა.

ამის შემდეგ თავმჯდომარის წინადადებით თითქმის ერთხმად დაადგინეს შეიკავონ თავი მცხოვრებთადმი კომისიის სახელით მიმართვის ყოველგვარ მოწოდებისაგან, დაუბრუნონ გუბერნატორს მისგან მიღებული წესები არჩევნების შესახებ, მიუნდოს თავმჯდომარეს და ი. ი. კალფოღლის მოახსენონ გუბერნატორს კომისიის აზრი, დამყარებული მცხოვრებლების სურვილზე შესახებ ფარული ხმის მიცემის მოხდენისა". („ერთობა").

თბილისი

სხივთა ლეჩაქით გარს მოევლე მზის სიხალისე.
შორეულ მთების გაალერსებს ტყეთა ჩრდილები,—
შენში ალერსით იშლებიან ყვავილები
და გაზაფხულზე ყვავილებით გათრობს მაისი.
გიყვარს ოცნება შორეულზე... წარსულის ლანდი
ვნებით აღელვებს საუკუნეთ მოგონებებში
და, შენც უყივი მზის რაინდებს მზის ოცნებებში,—
ბრძოლის ველისკენ გმირთ მოუხმობ ვით გარიბალდი!..
ალი ბესიკი გაზმანებს ჩრდილთ ხეივნებში
მეხამბაზებით ჭიანურზე ათრთოლებული,—
გათრობს ვახტანგის მამაცობა [illegible]
ვით კაეშანი ატირებულ თარის სიმებში!..
მზის სადიდებლად აიტანე მთაზე არმაზი.
ღმერთად იწამე სიყვარული და სილამაზე.
ცეცხლის ქურუმი, ვიამაყებ შენი სახელით.
ქართლოსის გულო! განიძარცვე დღეს ძაძა შავი.
დროთა სივრცეზე აკაშკაშდა ტურფა ვარსკვლავი—
შენი მშვენების და დიდების გამომსახველი!

ვ. გორგაძე.

ადმინისტრაციის საყურადღებოდ

თბილისში ჩამოსვლისას ისე არაფერს არ გაუოცებივარ, როგორც უზომო სპეკულიაციას. ვინ არ გინდა ამ საზიზღარ საქმეს არ სჩადიოდეს, რა კლასისა და რა წოდების ადამიანი, რა რწმენისა და რა მიმართულებისა. და გასაოცარი უფრო ის არის, რომ ყველა ეს ხდება დაუფარავად, საქვეყნოდ. სად არის მთავრობა? ადევნებს თუ არა იგი ყოველივე ამას ყურადღებას?

ავიღოთ ეგრედ წოდებული „საკომისიო" დუქნები, რომელთაც უმთავრესად რუსის ყოფილი ოფიცრები, პოლკოვნიკები და გენერლებიც კი უდგანან სათავეში. რას არ ნახავთ ამ დუქნებში. ნუ მივაქცევთ ყურადღებას სხვა საქონელს. შევჩერდეთ უმთავრესად სახაზინო ნივთებზე. ვინ მისცათ ამ ვაჭრბატონებს ისეთი მატერიები, როგორიც მხოლოდ ჯარის კაცებსა ჰქონდათ და რომლის ადგილი არის მხოლოდ სამხედრო უწყების საწყობებში. აი მაგალითად ხაკი. არშინს ჰყიდიან 35 მანეთიდან 100 მანეთამდე. ბრეზენტი, ტილო, ეგრ. წოდ. ამერიკანი და სხვა. საიდან გაჩნდა ეს სახალხო ქონება გასპეკულიანტებულ პოლკოვნიკების „საკომისიო" დუქნებში? ვინ მოიპარა ეს სახალხო სამხედრო საინტენდანტო საწყობებიდან და ვინ „გადასცა" გასასყიდად „ხსენებულ სამხედრო პირებს? ეს კიდევ არაფერი. ამ საკომისიო მაღაზიებიდან შეყიდულ საქონელს სხვა და სხვა პროვინციებში აგზავნიან და ერთი სამად ჰყიდიან, მაგრამ ეს ტანისამოსი მაინც არა სწვდება საზოგადოებას. იგი ხელიდან ხელში გადადის და ერთი კვირის განმავლობაში 100 მანეთიანი არშინი 200 მანეთამდე იყიდება.

ამასაც რომ ყურადღება არ მიაქციოს ჩვენმა მთავრობამ, ნუ თუ ადმინისტრაციის წევრებმა არ იციან,

ალექსანდრე ბატონიშვილი სპარსეთში

(გაგრძელება)

რაკი რეინეგსმა ალექსანდრეს შენიშნა შესამჩნევი ნიჭი, ამიტომ რეინეგსი ალექსანდრეს შეხებ უფრო შორს წავიდა, რომ ამით ბატონიშვილი უფრო წაეხალისებინა გაემხნევებინა როგორც სწავლის მასალებით, ისევე სახელმწიფო მართვა-გამგეობის ცოდნაში, ამიტომაც დოქტორ რეინეგსმა ალექსანდრე ბატონიშვილი დაინიშნა თავის ადიუტანტათ, ახალგაზრდა ალექსანდრეს შეუკერა საადიუტანტო ტანისამოსი, თვით რეინეგსმაც ჩაიცვა თავის შესაფერი ფორმის ტანისამოსი, ამით იგინი თბილისში ცნობილ იქმნენ.

ასე და ამგვარათ, დოქტორ რეინეგსმა მოაწყო საქმენი და დაიწყო მოქმედება თბილისში. ამ დროს მეფისაგან რეინეგსს მინდობილ ექმნა ქალაქის ზედამხედველობაც, ამიტომ დოქტორ რეინეგსი თითქმის მუდამ დღე თბილისის ქუჩებზედ დაიარებოდა ცხენზედ მჯდომარე, ამასვე უკან დასდევდა მისი ადიუტანტი, პატარა ალექსანდრე ბატონიშვილი თავის ფორმის ტანისამოსით, რაც თბილისის მცხოვრებთაგან იპყრობდა დიდს ყურადღებას.

მართლაც და ასეთმა გარემოებამ მეტად დიდი და კარგი გავლენა იქონია ალექსანდრე ბატონიშვილზედ და მისმა აღზრდამ დიდის წარმატებით დაიწყო ღორძინება. რეინეგსის წყალობით, ალექსანდრე ბატონიშვილი სხვა გმირ კაცად გამოვიდა მომავალში. ეს გარემოება ცხადად დასამტკიცდა მაშინ, როცა საქართველო რუსეთს შეუერთდა, მაშინ რუსების შემოსვლა ალექსანდრემ თავის ძმის გიორგის ღალატათ ჩასთვალა და ამიტომ რუსის მთავრობას თავი არ დაუკრა, არ დაემორჩილა და თავის ერთგულის თანამოაზრე ქართველებით სპარსეთში გადასახლდა, ბაბახანს მიეკედლა და იქიდან დაუწყო რუსებს ბრძოლა, რუსებს თითქმის 45 წელიწადი ებრძოდა საქართველოდან გასარეკათ.

ამ დროს კი დასამტკიცდა ალექსანდრე ბატონიშვილის ენერგიული აღზრდა და ნემეცის რეინეგსის შრომა და ამაგი, მეფე ერეკლეს შვილებსა და შვილი-შვილებში მარტო ეს ალექსანდრე გამოვიდა ასეთის თვისებისა. ეს იყო ნაყოფი რეინეგსის. ასე და ამგვარათ, ალექსანდრე ბატონიშვილის ცხოვრება იყოფა ორ ხანად, ერთი ხანა მისი ცხოვრების საქართველოში და მეორე ხანა სპარსეთში.

ალექსანდრე ბატონიშვილმა ევროპიელის ნემეცის რეინეგსისაგან კარგათ შეიგნო საქართველოს სიყვარული და ისიც, რომ ეს სამეფო აღორძინებულიყო და არ დაცემულიყო. ამან შეიგნო ეს გარემოება და სოლომონ ლეონიძემ, მაგრამ როგორ და საიდამ რას მოახერხებდენ ესენი, როცა ამათ ხელთ არაფერი იყო. ერეკლე მეფის სიკვდილის შემდეგ, საქართველოს ტახტზე გიორგი მეფე ავიდა.

ალექსანდრე გიორგის გამეფების წინააღმდეგი არ გახლდათ, ეს იყო მოსურნე მ. ს, რომ გიორგი მეფის შემდეგ, საქართველოს მეფეთ იულონი უნდა ყოფილიყოს, ამის ანდერძი ხომ თვით ერეკლე მეფემ დასტოვა და ამ პირობაზედ მეფე გიორგიმაც მოაწერა ხელი. ალექსანდრე ბატონიშვილი არც გიორგის შვილის დავითის გამეფების წინააღმდეგი იყო, ხოლო ალექსანდრეს დავითი მიაჩნდა გადაგვარებულად და როგორც რუსის გენერალი, ამიტომ ალექსანდრეს არ სურდა, რომ გიორგი მეფის შემდეგ დავით გამეფებულიყოს, რადგანაც სულ ერთი იყო თუ გიორგის ხელში არა, დავითის ხელში ხომ რუსეთი უსათუოდ ჩაიგდებდა საქართველოს ხელში, ეს კი ალექსანდრე ბატონიშვილს არ სურდა.

რუსები მას დიდათ აჯავრებოდა და არამც და არამც არ უნდოდა, რომ ეს კუთხე რუსებს ჩავარდნოდათ ხელში, ეს იყო ამის მკაცრი წინააღმდეგი და მებრძოლიც. ამასვე თანამოაზრე იყო დიდი მამულიშვილი სოლომონ ლეონიძე. ამიტომაც იმ დღეს, როცა რუსები შემოვიდნენ საქართველოში ამათ უკვე დაეტოვათ საქართველოდამ გასვლის ცნებები. ალექსანდრე სპარსეთში გაიქცა თავის თანამოაზრეებით და სოლომონ ლეონიძე იმერეთში გადავიდა, სოლომონ მეფეს შეაფარა თავი.

ამ დღიდან იწყება ალექსანდრე ბატონიშვილის ბრძოლა, ე. ი. 1800 წ. და იგი გრძელდება 1844 წ. მეორე ცნობით კი 1848 წ. ჩვენ ვიცით 1844 წ. საკმარისია, რომ ამ ბუმბერაზმა და და მოუსვენარი მებრძოლის ცხოვრებას თავისებური სპეტაკი მამულიშვილობა არ მოაკლოთ.

ჯერეთ მეფე ერეკლე ცოცხალი იყო, რომ ალექსანდრე ბატონიშვილი გიორგი მეფეს სახლში ეწვია და აუწყა შემდეგი: „ძმაო გიორგი, შენ რუსეთისაკენ თვალი ნუ გიჭირავს, ჩვენ იმათი დახმარება არა გვჭირია. ჩვენ ოღონდ ყეინთან ვიქნეთ ერთგულ მეზობლებათ, ისინი შენ არასფერს დაგიშავებენ. ჩვენ მხოლოდ რუსეთს მოვშორდეთ და მე გაძლევ სიტყვას, რომ საქართველოს სამეფოსთან იქნება შემოერთებული მთელი შირვან-დაღისტანი, ბაქო აზერბეიჯანით და ერევანი და განჯა ხომ ჩვენია.

გიორგი მეფემ უარი უთხრა, რადგანაც სხვა და სხვა ქართველთა თქმით ალექსანდრე გადათრეულია და მისი არაფერი დაიჯერო, ამას ეუბნებოდენ რუსეთის მოსულის მომხრენი, შინათ გამცემ ქართველნი. ამ ლაპარაკის დროს მეფე ერეკლეც გარდაიცვალა 1798 წ. ტახტზედ ავიდა გიორგი მეფე. ამან მალე პავლე იმპერატორს მიმართა და ჯარით დახმარება სთხოვა, რომ შინაურს მტრებს ვებრძოლოთ. პავლე იმპერატორმა მალე გამოუგზავნა ორი პოლკი ჯარი გენერალ ლაზარევისა და კოვალენსკის მეთაურობით. ჯარი მალე შემოვიდა თბილისში, ამ გარემოებამ ალექსანდრე ბატონიშვილი დიდად გააბრაზა, ამიტომ ალექსანდრემ მიმართა ომარ ხანს და ფეთხ-ალი-შაჰს და დახმარება სთხოვა, მათ შეისმინეს თხოვნა ალექსანდრესი, მისცეს ჯარი. ალექსანდრე გამოემართა თბილისისაკენ რუსის ჯარის გასადევნათ საქართველოდან.

მეფე გიორგის და რუსის ჯარი ალექსანდრეს იორზედ შეხვდენ, მცირე ბრძოლის შემდეგ ომი შეჩერებულ იქმნა. ალექსანდრე თავის ჯარით უკან გაბრუნდა, მან არ ინდომა ქართველების ხოცვა, რადგანაც ქართველები რუსის ჯარში იყვნენ არეულები.

ამ გარემოებისაგან ომის შეჩერება გენერალ ლაზარევმა მეფე გიორგისთვის გამარჯვებათ აცნობა, ამ დღიდამ მეფე გიორგი აღფრთოვანდა და გენერალს აუწყა, რომ ახლა კი საქართველოს პავლე იმპერატორს უნდა მივმართოთ, რაკი თქვენ ჩემი ძმის ჯარი ამომყარეთო.

ასე მოეწყო საქმე. ამიტომაც რუსის ჯარმა განიძრახა ალექსანდრე ბატონიშვილის დაჭერა და რუსეთში წაყვანა. ეს განძრახვა ალექსანდრემაც მალე შეიტყო, ამიტომ იგიც ამ დღიდამ გახდა დაუძინებელი მტერი როგორც რუსის ჯარის, ისევე თავის ძმის გიორგი მეფის. მალე მეფე გიორგიც მოკვდა 28 დეკემბერს, 1800 წ. ამ გარემოებით ისარგებლეს რუსებმა და საქართველო რუსეთის იმპერიასთან დაკავშირებულად გამოაცხადეს.

(დასასრული იქნება)

ზ. ჭიჭინაძე

ეროვნული

რომ ასეთ „საკომისიო“ დუქნებში ასეთი ნივთები მოიპოვება, რომელთა საშოვრად ქართული პოლიციის პოზიციებიდან ჩამოსულ უფროსებს თვეობით უხდებათ შესაფერ უწყების კარებთან ყურყუტი? ჩვენ გულისხმობთ საველე ტელეფონს. ასეთი რამის ნაკლებობა ფრონტებზე მეტად აფერხებს თავდაცვის საქმეს, ხოლო „საკომისიო“ დუქნებში ამ ტელეფონის აპარატი გასაყიდად არის გამოფენილი.

ამას ყველა ხედავს და ალბად ყველაც აჩნევს, მაგრამ სათანადო ზომებს მაინც ვერ ღებულობენ.

და ვინ უნდა მიიღოს ასეთი ზომები, თუ არა იმავე მთავრობამ და მის მიერ დაყენებულმა ადმინისტრაციამ?

ჩვენის მხრით მივაქცევთ მთავრობის ყურადღებას ამ ბოროტმოქმედებაზე და მოუწოდებთ მეტის ენერგიით სახალხო სიმდიდრის მოვლისათვის.

ჩამოსული.

ღირს-მისაბაძი მაგალითი

იოსებ გიორგის ძე ივანიძემ გადასწყვიტა იხადოს ყოველთვიურად, სანამ ცოცხალია, ას-ასი მანეთი, და უკეთეს პირობებში,—მეტიც, ქართული საეკლესიო გალობის ასაყვავებლად. მოგვყავს ამ საგნის გამო ივანიძის მიმართვა მის ყოვლად უსამღვდელოესობის ტფილისის მიტროპოლიტის ლეონიდისადმი:

მაღალ ყოვლად უსამღვდელოესს ლეონიდეს თფილისის მიტროპოლიტს.

ვინაიდან ჩემი ნატვრა იყო, მენახა ჩემი ერი თავისუფალი, ზე აღმდგარი, განახლებული, და ეს ნატვრა ჩვენდა სასახელოდ და საბედნიეროდ უკვე აღსრულდა; ვინაიდან იმ თავიდან შევტრფოდი მშობელი ეკლესიის მონობიდან განთავისუფლებას და აწ ესეც ვიხილე: ვეღარ ვფარავ და საჯაროთ ვამბობ, რომ ჩვენს თავისუფლებას დიდი და მრავალი დაბრკოლება ელოდება წინ და ამგვარად ფერხდება ყველა ახლად დაწყებული საქმე. სხვათა შორის უსახსრობის გამო შეზღუდულია ჩემთვის სათაყვანებელი ქართული ეკლესიის და მის მგალობელთა გუნდის საქმე.

გალობა,—უდიდესი მადლი, რომელიც მორწმუნე ადამიანს სულსა და გულს უკეთილშობილებს; გალობა,—საუკეთესო საშუალება, რითაც მიწიერი ზეციერს უახლოვდება; ამ გალობის ასაყვავებლად ჩემის მხრით ყოველთვიურად, სანამ ცოცხალი ვარ, ვალად ვრაცხ ჩემს თავს გადავიხადო ასი მანეთი და უკეთეს პირობებში—მეტიც.

იოსებ გიორგის ძე ივანიძე.

მამამ მეუფებამ ლეონიდ ტფილელმა კეთილ ინება და შემდეგი წარწერა გაუკეთა ხსენებულ მიმართვას:

20 ივლისი 18 წ. დიდათ სასიხარულო და სანუგეშოთ მოყვანილი განცხადება. უტყუარია დიდა ღვთისა არ ივიწყებს თავის წილ-ხდომილ ქართველ ერს, ღვთისმშობელი კიდევ უგზავნის საქართველოს ღვთისა და მამულის მოსიყვარულე სამაყო შვილებს.

ბ-ნ ივანიძის მადლიანი საქციელი საფუძვლად დაედება ჩვენში იმ მაღალი ხელოვნების განვითარებას, რომლის ღირსეულობასაც ასე აღუარებს უფალს ღვთივ განბრძნობილი მეფე დავითი: „ნეტარ არს ერი იგი, რომელმან იცის გალობა შენი“.

მაცხოვარმა ჩვენმა იესო ქრისტემ აკურთხოს უხვი მოწყალე სასიქადულო მამულიშვილის ბ. ივანიძისა, მისცეს მას ჯანი და დღეგრძელობა და გააძლიეროს მისი სათნოიანი გული საყვარელი სამშობლოს აყვავება-ძლევამოსილებით.

მიტროპოლიტი ლეონიდი.

კორესპონდენცია

სამეგრელოდან

ბოლშევიკურმა მოძრაობამ ოდიში არ ასცდა. ჯერ კიდევ გამოურკვეველია თუ როდის მიეცემა აღსასრული ოდიშელ ბოლშევიკურ ბრბოების ხეტიალს.

ისინი თავისუფლად დათარეშობენ, მაგრამ ჯერ კიდევ დაპყრობილ პატარა სოფლების საზღვრებს არ სცილდებიან·

სამეგრელოს ცენტრი — ზუგდიდი საშიშ მდგომარეობაშია. აქ ჯარი სდგას, მცხოვრებლებიც შესაფერისად შეიარაღებულნი არიან.

ყველაზე ავაზაკურად მოაზროვნე ბოლშევიკების სურვილი—ზუგდიდის დაპყრობა ვერა ხორციელდება.

მაგრამ არც მათი დამარცხების ნიშნები სჩანს. ბრძოლა არა ხდება. მთავრობის ჯარი კი მხოლოდ ზუგდიდს იცავს. მისი მოქმედება ზუგდიდის საზღვრებს არ სცილდება. ბოლშევიკები კი იქვე ახლო-მახლო თარეშობენ. სურსათის უქონლობის გამო ზუგდიდი გაჭირვებას განიცდის. სოფლებიდან თითქმის არაფერი შემოაქვთ, ეს შედეგია ბოლშევიკების ბრძანების და ბატონობისა.

ამ ბოლო ხანებში მათი მზვერავები სენაკსაც მოუახლოვდნენ, სოფლელებს უკრძალავენ რამე სანოვაგის შეტანას სენაკში. შიმშილით ლამობენ სენაკელთა დამორჩილებას. საინტერესოა თუ რა ცხოვრებას აწარმოებენ ბოლშევიკები სოფლად, როგორია მათი აზრი და მიზანი, ან როგორი განწყობილებაა სოფლებში. ყველა ამ საინტერესო საგანზე მე მინდა მკითხველს გავუზიარო ის.

დილის 5 საათი იყო—ამბობს ტყვე, რომ ვიღაცამ სახლის კარებს თოფის კონდახი მაგრად ჰკრა და დაიძახა: „გააღე კარი შე ძაღლო“. პირველად შევშინდი, ვიფიქრე ალბად ყაჩაღები არიან მეთქი და მაშინვე თოფს წავავლე ხელი და შეხერს მივეფარე, როგორც ფეხზე დავდექი. ამ დროს მეორედ ჰკრეს კიდევ თოფის კონდახი და გინებით მომიხსენიეს. შემდეგ ერთი ნაცნობი ხმა მომესმა, ვცანი ხმით ვინც იყო და კარებს მოახლოებულმა ჩემმა ნაცნობმაც მთხოვა კარი გამეღო.

კარი გავაღე. შემოვიდა შვიდი კაცი და თოფები დამიმიზნეს, იარაღი მომთხოვეს—რევოლვერი და ოსმალური კარაბინა. თავიანთი თავი ბოლშევიკებათ დაასახელეს. თოფი მივეცი, მხოლოდ რევოლვერზე უარი ვუთხარი, გავყიდე მეთქი. არ დამიჯერეს და ტყვედ წამიყვანეს. საათის ცხრაზე დილით ს. აბასთუმანში მიმიყვანეს. აქ მათ შტაბი ჰქონდათ. დაბინავებული იყვნენ ეკლესიასთან. სამასამდე იქნებოდა. ყველა მათგანს 200—300 ტყვია ჰქონდა და სხვა და სხვა სისტემის თოფ-რევოლვერი. ეს ერთი ნაწილი იყო მთელი ბოლშევიკური რაზმისა სხვა და სხვა სოფლების მცხოვრებნი. მე ვუახლოვდით ამ ჯგუფს. ყველანი წამოცვივდნენ და დამათვალიერეს. მალე გამოჩნდა თვით ამ რაზმის ხელმძღვანელი გვასალია, ჩემი კარგი ნაცნობი იყო. მან მაშინვე მიცნო და გაუკვირდა ჩემი ტყვეობა. მე აუხსენი საქმის შინაარსი, მან იწყინა ეს და დაუმატა, რომ არაფერი ვიცოდიო. სადილობის დროს წავიდა. რაზმის უფროსმა გაჰყო მთელი რაზმი სოფლელებად და ისე შეუდგნენ სადილს. მე კი თვითონ წამიყვანა სადილად ოჯახში, სადაც მისთვის სადილი იყო დამზადებული. აქვე მოვიდა ამ უფროსის სამი თანაშემწენი. სადილობის დროს გავემართეთ კერძო ბაასი, რომლის დროს რაზმის უფროსმა შემდეგი მითხრა: ჩვენ ხოცვა-ჟლეტის წინააღმდეგი ვართ. არასოდეს ჩავიდენთ იმ საზიზღრობას, რომელსაც მთავრობის ჯარი სჩადის, სახლების წვა ეს უსამართლობაა. მე რომ [illegible] თავისუფლად შემეძლო რამდენიმე პირის სახლის დაწვა, მაგრამ ეს არა ვქენ. სახლი რა შუაშია,

გარდა ამისა, ჩვენ გამწვავებული ვართ იმ გარემოებით, რომ ხალხს პატრონი არ ჰყავს, ჩვენი მთავრობა სუსტია, უძლური, დღეს სამართლიანობის ნაცვლად უსამართლობაა გაბატონებული, მექრთამეობამ იმატა და სხვა ასეთები. ჩვენ ამის წინააღმდეგი ვართ. ჩვენ გვინდა ხელახლა არჩევნები, როგორც იყო იმ წესით. და ვინც ახალი არჩევნების დროს გავა, ჩვენ იმას დავემორჩილებით. ეს ჩვენი პატიოსანი სიტყვაა. ოღონდ ხალხს მისცენ საშუალება ის აირჩიოს, ვინც მას სურს.

ამბობენ გერმანელების შემოსვლაზე. ჩვენ ეს არ გვჯერა. ეს სიცრუეა. გერმანელ ტყვეების შეიარაღება არ ნიშნავს მათ შემოსვლას. ამით უნდათ შიშის ზარი დაგვცენ ჩვენ. მაგრამ თუ მართლა გერმანული მთავრობა არის ჩვენში და ისინი ხალხს ეპატრონებიან, დაამყარებენ წესიერებას ჩვენ 24 საათის განმავლობაში იარაღს ჩავაბარებთ მათ. აი ჩვენი აზრი ასეთია, რომლის გაგება მთავრობას არა ჰსურს. ჩვენ წინააღმდეგი არ ვართ მოლაპარაკება გავმართოთ მთავრობის წარმომადგენლებთან. არა გვსურს ძმათა სისხლის დაღვრა და მთავრობას კი სურვილიც არ ჰქონია ჩვენთან მოლაპარაკების გამართვისა. მოთხოვნილებანი ჩვენი ჩვენ ჩამოწერილი გვაქვს,—ამით დაასრულა გვასალიამ თავისი სიტყვა. შემდეგ მე განმათავისუფლა და მშვიდობიანად გამომისტუმრა. ერთხელ კიდევ უკმაყოფილოდ თვალი გადავავლე იმ ბრბოს და წამოვედი.

მეგრელი.

წერილი რედ. მიმართ

ბ-ნო რედაქტორო!

გთხოვთ თქვენს გაზეთში ადგილი დაუთმოთ შემდეგს: სურამის ქალთა საზოგადოების „მანდილოსნის“ დავალებით რამდენიმე სოფელი დავიარე, სადაც საბრძოლველათ გასულ მეომართათვის სანოვაგეს და ფულს ვაგროვებდით. სიამოვნებით უნდა აღვნიშნოთ, რომ მცხოვრებლების მომეტებულმა ნაწილმა შეგნებულათ შეხვდა ჩვენს მისვლას და დაუზარებლათ გამოიღო თავისი წვლილი, რისთვისაც „მანდილოსნის“ სახელით უღრმეს მადლობას ვწირავ. შემომწირველთა სიას არ გიგზავნით, რადგანაც გაზეთში დიდ ადგილს დაიჭერს. აგრეთვე მადლობას ვუცხადებ ს., ალ. და ლ. ბ. ორჯონიკიძეებს, ს. ტეზერის მღვდელს და ხაშურის რკინის გზის სკოლის მოწაფე შალიკო ბეროზაშვილს, რომელთაც ყოველგვარი დახმარება აღმომიჩინეს. ამასთანავე უნდა აღვნიშნო, რომ ზოგიერთა ავი ხალხი, არამც თუ არაფერს არ იმეტებდა მათი დამცველებისთვის, არამედ ათასნაირ ჭორს და პროვოკაციას ავრცელებდა.

„მანდილოსნის“ გამგეობის წევრი
მაშო დიდებულიძისა.

სამკურნალო

სამხედრო სპეციალისტ-ექიმების—გარედან მოსიარულე ავადმყოფთათვის.

დიდ განჯის ქუჩა № 8. ალექსანდრეს ბაღის მახლობლად, ტელ. № 481.

ექიმი ასპიზოვი—ყელის, ყურის და ცხვირის. ყოველდღე 12—1 საათამდის.
ექ. ახვლედიანი—შინაგან და ბავშვთა ავადმყოფობის. ყოველდღე 11—12 ს.
ექ. ბელდანევი—შინაგან და ბავშვთა ავადმყოფობის. ყოველდღე 10—11 ს.
ექ. ხუდნოვსკი—ნერვების, ორშაბ., ოთხშაბ. და პარასკეობით 12—1 საათ.
ექ. ერმოლაევი—შინაგან და ბავშვთა ავადმყოფობის. ყოველდღე 1—2 ს.
ექ. ბოგომაზოვი—შინაგან და ბავშვთა ავადმყოფობის. 12—1 ს.
ექ. მაზჩიკოვი—შინაგან და ბავშვთა ავადმყოფობის. ყოველდღე საღ. 3—4
ექ. ხურიაცოვი—შინაგან და ბავშვთა ავადმყოფობის. ყოველდღე 4—5 ს.
ექ. იმანოვი—თვალების ავადმყოფ. 2—3 ს.
ექ. ყალამქაროვი—ქალთა და საბებიო. ყოველდღე 1—2 ს.
ექ. ნოვიცკი—ქალთა და საბებიო. ყოველდღე 2—3 საათ.
ექ. ქალი ოსხელიანი. ქალთა და საბებიო. ორშ., ოთხშ. და პარასკ. 11—12 ს
ექ. ქალი ფირალოვი—ქალთა და საბავშვო 11—12 ს.
ექ. შამაშე—ქირურგიული (დასტაქარი). ყოველდღე 11—12 საათზე.
ექ. ფირალოვი—ქირურგი. ყოველდღე $12^1/_2$—$1^1/_2$ საათამდე.
ექ. ცანდერი—სტომატოლოგიურ ავადმყოფ. ყოველდღე 4—5 საათ.
ექ. კაკაბაძე—კანის და ვენერიულ ავადმყოფობის. ყოველდღე 12—1 ს·
ექ. არხიპოვი—კანისა და ვენერიულ ავადმყოფობის 4—5 საათ.
კბილის ექ. ალიხანოვი—ყოველდღე 10—12 საათ.
კბილის ექ. ნურალოვი—ყოველდღე 3—5 ს.

ოპერაციები მორიგეობით, კონსულტაცია მასსაჟი, ყვავილის აცრა, ანალიზი, ჰიპნოზი, მოსამსახურეთა და ძიძების გასინჯვა, სათვალეების შერჩევა. ფასი დათვალიერებისათვის პირველი დღე—სამი მან. 1 მ. 50 კ. 100—101

1918 წ. ივლისის 25-და ქ. თბილისში გამოდის მთავრობის [illegible] ყოველდღიური გაზეთი ოფიციალური განყოფილებით

„საქართველოს რესპუბლიკა“

გაზეთი ღირს 1 თვით 10 მანეთი, ცალკე ნომერი ყველგან 40 კ., სავალდებულო განცხადებანი დაბეჭდილი ნიხრით, კერძო განცხადებანი შეთანხმებით.
რედაქციის კანტორის მისამართი ქ. თბილისი ბარონის ქუჩა № 6.
რედაქტორი პ. დ. საყვარელიძე.

პარასკევს, 26 ივლისს საღამოს 7 საათზე (ახალი დროით) სამეურნეო ბანკის დარბაზში მოხდება საქართველოს ეროვნულ დემოკრატიულ პარტიის ქალ. თბილისის მე-II რაიონის წევრთა

საზოგადო კრება

პ. გოთუა და შ. ქარუმიძე წაიკითხავენ მოხსენებას შემდეგ თემაზე: „ჩვენ და ჩვენი მეზობლები: სომხები, თათრები და მთიულები“.
დასწრება შეუძლიათ მხოლოდ პარტიულ წევრებს.

კვირას, 14 ივლისს 1918 წელს

გაიხსნა პირველი ხარისხის სასადილო

„საქართველო“ ყოფილი „ამირანი“

პუშკინის ქუჩა, ძველი სემინარიის შენობაში

შენობა ახლად შეკეთებულია ცალკე კაბინეტებით
დაუკრავს სიმებიანი ორკესტრი.
სადილი შუადღის 12 ს.-დან საღამოს 5 საათამდე.
ვახშამი საღამოს 9 საათიდან ღამის 1 საათამდე.

სამზარეულო აზიური და ევროპიული, საჭმელები კეთდება საუკეთესო მასალიდან საუკეთესო მზარ. ხელმძღვანელობით

საქართველოს ეროვ. დემოკ. პარტიის მე-III რაიონის ბიურო

ამით აცხადებს, რომ ცნობების მიღება და პარტიაში ახალ წევრების ჩაწერა შეიძლება ყოველ დღე დილის 10—2 და საღამოს 5—7 საათამდის. ბიურო იმყოფება ტურგენევის ქ., № 4 მესამე მომრიგებელ მოსამართლის დარბაზში.

თბილისის სათავად-აზნაურო სადგილ-მამულო ბანკის გამგეობა

ამით აცხადებს რომ საჯარო ვაჭრობით გაყიდვა უძრავი ქონებისა სესხის შეუტანლობის გამო დანიშნულია 1918 წ. აგვისტოს. დაწვრილებითი ცნობები აღნიშნულია გაზ. „კავკაზის“ 6 ივლისის № 138 ში

საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიულ პარტიის ქ. თბილისის მეორე რაიონის კომიტეტის ბინა

კანცელარია ღიაა ყოველ დღე, კვირა უქმეების გარ. და, 10—2 საათამდის და 7—8 ს. საღ. (ახალ დროით.

მედიცინის დოქტორი მიუნხენის უნივერსიტეტისა

ნ. ლ. ტურაშვილი

იღებს ავადმყოფებს ყოველ დღე 12—2 შუადღ. და 4—5 საღ. შინაგანი, ბავშვების, საბებიო და საშვილოსნო სნეულებანი. ნიკოლაევის ქუჩა № 7, სიმხოვიჩის აფთიაქის გვერდზე.
2 თვ.—1658.

ექიმი

გ. ი. ზანდუკელი

ასსისტენტი მოსკოვის სანატორიუმ-სამკურნალო ექ. ნ. მ. კიშკინის იღებს შინაგან და ნერვების ავადმყოფთ (პსიხოტერაპით) სამშაბათობით, ოთხშაბათობით, ხუთშაბათობით და პარასკეობით ნაშუადღევის 3 ს.—5 საათამდე. ოლღის ქუჩა № 22.

ექიმი

გ. წინამძღვრიშვილი

თიბათვესა და მკათათვეში იღებს ავადმყოფთ ქ. გორში 6—7 საათამდე, დეკანოზ ი. კაპანაძის ბინაზე

მარტის 20 გაიხსნა ახალი

სამკურნალო

ყოველგვარ ავადმყოფთათვის
ექიმ ი. მ. მძინარიშვილის და ლ. მ. ნაზარეტიანცის

სავადმყოფოში იარსებებს კბილის საექიმო კაბინეტი ხელოვნურ კბილების ტექნიკურ ლაბორატორიით.

მიხეილის პროსპექტის და („კირპიჩნი“ ქუჩ. კუთხე № 22 შესავალი კირპიჩნი ქუჩიდან). ტელეფონი 10—87.

ავადმყოფების მიღება ყოველ დღე დილის 9 საათ. ნაშუადღევის 3 ს-დე.

ვენერიულ ავადმყოფების მიღება—საღამოს 4-დან—8-მდის. ქალების და ბავშვების მიღება 4—5 საათამდე.

ღარიბები მიიღებიან კვირაობით, 10—12-მდე უფასოდ.

სამკურნალო კაბინეტი ექიმ

ალექსანდრე დავითის ძის კეკელიასი

იღებს კანისა, ვენერიულის და სიფილისით ავადმყოფებს (914-ს და 606-ს შეშხაპუნება) ავადმყოფთა მიღება ქალებისა და ბავშვითათვის 4—5 დანარჩენები 5—8 საათამდე საღამოთი. მიხეილის პროსპექტი № 116 სასტუმრო „ნორდ“ პირდაპირ ტელეფონი 14—28.

გაიხსნა

თვალის სავადმყოფო

(მუდმივი საწოლებით)

ექიმი დონხინისა

ყოფილი ასისტენტი უნივერსიტ. თვალ. კლინიკისა ვენაში და პარიზში. ავადმყოფების მიღება ყოველ დღე, 9 საათიდან 1 საათამდე და 4—7 ნაშუადღევი საათამდე. მიხეილის პროსპექტი № 141. (კინემატოგრაფი „აპოლო“-ს ახლო) მძიმე ავადმყოფები და საოპერაციოები მიიღებიან სრულ პანსიონში.

დოქტორი მედიცინისა
მოსე ანთიმოსის ძე

ბალანდარიშვილი

[illegible]
ბავშვთა, შინაგან და ქირურგიულ სნეულებებით ავადმყოფებს მიიღებს დილით 8—9-მდე საღამოს 5—7. ტელეფ. № 17—81.

ექიმი

ნ. ი. მახვილაძე

იღებს სპეციალურად მალარიით (ციება) და მისი შედეგებით დასნეულებულთ, სისხლის ნაკლებობით, გულისა, ფილტვისა, ქარებით და სხვა შინაგან სნეულებათ ავადმყოფთ ყოველ დღე საღამოთი 5—7 საათამდე.
ელექტრო-ტერაპია და მასსაჟი
მისამართი: მოსკოვის ქ. № 11.
თ—1536—49

სტამბა „[illegible]“ [illegible] № 4